ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 62

02.12.2021 წ.
13:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 2 დეკემბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **დათო რურუა** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის წარდგენა** *(საანგარიშო პერიოდი 2017 წლის ნოემბერი - 2021 წლის ნოემბერი),* (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის სხდომაზე, ოთხწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, მინდა მადლობით დავიწყო კომისიის სხდომა. მადლობა ჩემს კოლეგებს! ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შევიძინე თქვენგან და დარწმუნებული ვარ მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა. მინდა მადლობა გადავუხადო მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს და რა თქმა უნდა ჩვენი კომისიის სამდივნოს, ხაზგასმით მინდა ავღნიშნო პანდემიის პერიოდში მათი ჩართულობა და კოორდინაცია მოქალაქეებთან მიმართებით. მოგახსენებთ, რომ სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ოთხი წლის განმავლობაში ჩაატარა 62 სხდომა და განიხილა 131 საკითხი, 45 განკარგულების და 39 დადგენილების პროექტი, მათ შორის იყო კომისიის ანგარიშები, ინიციატივები, პროექტები და წერილები. 2018, 2019, 2020 წლების ბიუჯეტით სპორტის და ახალგაზრდული მიმართულების პროგრამებისთვის გამოყოფილი იყო 58,867,9 ათასი ლარი, მიმდინარე წელს დაიხარჯება 28 578,5 ათასი ლარი. ასევე, კომისიამ განიხილა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი (1 199,917 ათასი ლარი), რომელიც საკრებულომ შენიშვნებით დაუბრუნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, კომისიის მიერ მომზადებულია 60 სამართლებრივი დასკვნა და 62 კომისიის სხდომის ოქმი.

კომისიის ინიციატივით დაფუძნდა **„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი“**, რომელიც 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრებისგან შედგება. ფორუმი შესაძლებლობას გვაძლევს ერთიან ფორმატში, ეფექტურად მუშაობის და გამოცდილების გაზიარების. ფორუმის ფარგლებში არაერთი პროექტი და აქტივობა განხორციელდა, მათ შორის:

- **„თბილისის სასკოლო ლიგა“**, რომელიც 2019 წელს დაფუძნდა, სადაც პირველ წელს 32 საჯარო სკოლის, 400-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ხოლო 2021 წელს თბილისის 100-მდე საჯარო სკოლის 1 000-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო;
- ასევე კამპანია **„როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“**, მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქების სკოლებში წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად მიმდინარეობდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, აქტივობამ თბილისი 11 სკოლა მოიცვა.
- კომისიის მართავდა კამპანიას **„წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში“**, აღნიშნულის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციის წარმომადგენელთან და მოქმედ სპორტსმენებთან არაერთი შეხვედრა ჩატარდა.

კომისიის ინიციატივით:

- სამუშაო შეხვედრები პერმანენტულად იმართებოდა სპორტულ ფედერაციებთან, ქალაქ თბილისის ა(ა)იპ-ებთან და ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან.
- ასევე სამუშაო ფორმატის შეხვედრები იმართებოდა რაიონული გამგეობების კულტურის, განათლების, სპორტისა, ახალგაზრდობის, ინფრასტრუქტურის განყოფილების წარმომადგენლებთან და მათ მიერ პროექტების შესახებ ანგარიშებსა და სამოქმედო გეგმას ეცნობოდა.
- შეხვედრები იმართებოდა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთანაც, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი წინადადებები შუამდგომლობის სახით იგზავნებოდა სხვადასხვა უწყებაში.

მოგეხსენებათ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში 9 სპორტული და 2 ახალგაზრდული ა(ა)იპ-ია, რომელთა საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა. ასევე, ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართულებით, დედაქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა და პროექტი განხორციელდა, რითაც ეს სექტორები განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, მათ შორის:

- 320 საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტი, 700 სპორტული კულტურული პროექტი თუ ინიციატივა, 21 საერთაშორისო სპორტული ღონისძიება;
- სხვადასხვა პროექტში დასაქმდა 4000-ზე მეტი ახალგაზრდა;
- დაჯილდოვდა 107 სპორტსმენი და დაფინანსდა 96 სხვადასხვა სპორტული ორგანიზაცია;
- 5000-მდე სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური;
- 1400-მდე წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო მერიის სტიპენდია;
- განხორციელდა 3 სპორტული ცენტრის მშენებლობა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 7 სპორტულ ცენტრს;
- ტექნიკით და ინვენტარით აღიჭურვა 6 სპორტული ცენტრი ;
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 518 სპორტულ მოედანს;
- მოეწყო 386 გარე გამოყენების სატრენაჟორო სივრცე;
- სრულად რეაბილიტირდა 8 სახელოვნებო სკოლა;
- პანდემიის მიუხედავად, 2020-21 წლებში არ შეჩერებულა პროექტების დაფინანსება, პირიქით, გამარტივდა პროექტების დაფინანსების წესი;
- 2020 წელს კულტურის სფეროს მხარდასაჭერად დამატებით გამოიყო 1 000 000 ლარი.

ვარკეთილსა და დიდი დიღომში ორი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. დაგეგმილია, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის მშენებლობა; წყნეთის გზატკეცილზე ფეხბურთის დახურული, ხელოვნურ საფარიანი მოედნის მშენებლობა; „მზიურში“ მდებარე ფეხბურთის მოედნის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქალთა და შშმ პირების გუნდების/კლუბების ხელშეწყობა და სხვა.

ზაფხულის პერიოდში ღია სივრცეებში და პარკებში სპორტული, შემეცნებითი, საბავშვო, კულტურულ-გასართობი და საგამოფენო ღონისძიებები იმართებოდა, რომელშიც საერთო ჯამში 30,000-ზე მეტი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას;

სტუდენტების და ახალგაზრდების ევროპაში სასწავლო მობილობის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის მერიის ინიციატივით საქართველო გაწევრიანდა ევროკავშირის ქსელში -Eurodesk, რაც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სრული დაფინანსებით, 2 დან - 6 თვემდე ვადით მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მოხალისეობრივ საქმიანობაში, იმუშაონ და შეიძინონ ახალი ცოდნა და გამოცდილება; ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის პროგრამა Erasmus+ - აღნიშნულის ფარგლებში თბილისის მერიის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ შვედეთის, ესტონეთისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ცენტრებთან თანამშრომლობით, პროგრამის ფარგლებში, მიიღო გრანტი 500,0 ათასი ლარის ოდენობით, გრანტის ფარგლებში, სასწავლო და სამუშაო ვიზიტები ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, უკვე განხორციელდა შვედეთში, ესტონეთში და პოლონეთში, აგრეთვე თბილისს ეწვია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრები მუდმივად ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და უწყებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებს, სხვადასხვა სახის ცერემონიებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ დაესწრნენ მსგავსი ტიპის 77 შეხვედრას. მათ შორის ისეთ შეხვედრებს და ღონისძიებებს როგორიცაა:

სტუდენტური ფესტივალების გახსნის და დაჯილდოების ღონისძიებები; პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი მერიასთან ერთად'' შემაჯამებელი ღონისძიება; წარმატებულ მაგისტრანტებთან

შეხვედრები; პროექტის „BE Lingual“ მონაწილეთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია; თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი; ფესტივალი „თბი-ლისი“; უნივერსიადა 2021-ის გამარჯვებულების დაჯილდოება; გარბენი „თბილისი“; ახლადაშენებული ან რეაბილიტირებული ა(ა)იპ-ებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გახსნა; სალაშქრო ტურებისა და საზაფხულო კემპების გახსნის ღონისძიებები; სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების პრეზენტაცია და განხილვები; თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების პრეზენტაციები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ორი ვიზიტი, აღნიშნულის ფარგლებში შეხვედრები ვიტორიაში, ბილბაოსა და ეიბარში შედგა - ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიის მერთან და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხო ტრანსპორტისა და სპორტის მიმართულებით მეთოდოლოგიისა და ინფორმაციის სისტემურ გაცვლას. სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო ესპანეთში, არსებული სპორტული კომპლექსების მონახულება, მათი სამუშაო მეთოდოლოგიის გაცნობა და შემდგომ თბილისში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობისა და ამუშავების პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარება. მეორე ვიზიტი კი ავსტრიაში განხორციელდა, სადაც პროგრესული ალიანსის პროექტში - „პროგრესული ალიანსის აქტივისტთა აკადემია“ იმართებოდა.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა და მოამზადა 3 383 მასალა, კორესპონდენცია, პროექტი. მათ შორის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი 1 678 მასალა და იურიდიული პირებიდან, მოქალაქეებიდან 73 წერილი/განცხადება. კომისიიდან გასული კორესპონდენცია კი ჯამში 1 690-ს შეადგენს.

კომისიის სამდივნო ორგანიზებას უწევს მოქალაქეთა მიღებას, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში შეხვედრა შედგა 1 000 -ზე მეტ მოქალაქესთან, რომლებსაც შესაბამისი კონსულტაცია გაეწიათ. ასევე, განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და დაინტერესებულ მოქალაქეებს განმარტებები მიეცათ. საანგარიშო პერიოდში კომისიას ჰყავდა 6 სტაჟიორი. სტაჟირების ვადის გავლის შემდეგ მათ გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატი.

ძირითადი ინფორმაცია კომისიის საქმიანობის შესახებ ქვეყნდება კომისიის “Facebook” გვერდზე, ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას, მათ შორის აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაზე განთავსებას.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - პირველ რიგში მადლობას მოვახსენებ ჩემს კოლეგებს და აპარატის თანამშრომლებს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელდა ამ წლების განმავლობაში. მჯერა ქვეყნის საკეთილდღეოდ, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით კიდევ არაერთ წარმატებულ პროექტს, თუ ინიციატივას შევუწყობთ ხელს და განვახორციელებთ ერთობლივი ძალისხმევით.

დავით ჭელიძე - ვუერთდები ბატონი ავთოს პათოსს, დარწმუნებული ვარ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ, ოთხი წლის მანძილზე თანამშრომლობისთვის.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში" *(საანგარიშო პერიოდი 2017 წლის ნოემბერი - 2021 წლის ნოემბერი).*

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე